

შპს „საბჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31
დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	8
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	11
2. მომზადების საფუძვლები	11
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	12
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	17
5. სხვა შემოსავალი.....	18
6. როიალტის ხარჯი	18
7. სხვა ხარჯები.....	18
8. ფინანსური ხარჯი, წმინდა	19
9. ძირითადი საშუალებები	19
10. არამატერიალური აქტივები.....	20
11. გაცემული სესხები	20
12. მარაგები.....	20
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	21
14. მიღებული სესხები	21
15. გადავადებული შემოსავალი.....	21
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	22
18. პირობითი ვალდებულებები	23
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

შპს „საბჯორჯიას“ დამფუძნებლებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „საბჯორჯიას“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღებით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი შენიშვნებისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იდენტიფიცირდება კომპანიის გრძელვადიანი აქტივების - ძირითადი საშუალებების, გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ნიშნები, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია ჯამურად 6,952,626 ლარის ღირებულებით. მოცემული თარიღისათვის კომპანიას არ აქვს ჩატარებული ზემოაღნიშნული აქტივების გაუფასურების ტესტირება, როგორც ეს მოითხოვება მსს ფასს 27-ე განყოფილების „აქტივების გაუფასურება“ მიხედვით. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან, გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილ ავანსებთან, არამატერიალურ აქტივებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური წლის დასრულების შემდეგ, რის გამოც ვერ შევძელით ფიზიკური მარაგების დათვალიერება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე, ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულება სხვა ალტერნატიული გზებით მარაგების რაოდენობისა და მდგომარეობის შესახებ, რომლის საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია 1,346,710 ლარით. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, იყო თუ არა საჭირო რაიმე შესწორება მარაგებთან ან ფინანსური ანგარიშგების სხვა დაკავშირებულ ელემენტებთან მიმართებით, რის გამოც ჩვენი აუდიტორული მოსაზრება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე მოდიფიცირებულია. მოდიფიცირებულია აგრეთვე ჩვენი მოსაზრება მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზეც, ამ საკითხის გავლენის ან შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე პერიოდის ციფრებისა და შესაბამისი ციფრების შესადარისობაზე.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრეთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსის) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელზეც პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა და რომელიც შეიტანება მმართველობის ანგარიშგებაში, არ გვქონდა მიღებული აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას. სავარაუდოდ, მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

დასკვნის მოდიფიცირების გარეშე, გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე (მომზადების საფუძვლები - ფუნქციონირებადი საწარმო), სადაც აღწერილია, რომ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დაგროვილი ზარალი შეადგენს 3,258,267 ლარს, ხოლო კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები 8,277,998 ლარით აღემატება მოკლევადიან აქტივებს. კომპანიამ 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მიიღო წმინდა ზარალი 3,460,895 ლარი. ასევე, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებს ფინანსურ ინსტიტუტთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების ნაწილს, რაც შესაძლოა გახდეს ბანკის მიერ ხელშეკრულების ვადამდე ან ნაწილობრივ შეწყვეტის საფუძველი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებს Subway International B.V.-სთან გაფორმებული სალიცენზიო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ერთ-ერთ მოთხოვნას.

ზემოაღნიშნული მოვლენები მიუთითებს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევსწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.



მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

25 ივლისი 2025 წელი

შპს „საბჟორჯია“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023 (ივნისიდან)
ამონაგები		10,782,543	429,750
სხვა შემოსავალი	5	503,252	1,057,951
მარაგის ხარჯი		(4,663,124)	(222,830)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(3,846,425)	(475,963)
იჯარის ხარჯები		(846,939)	(52,372)
ცვეთა და ამორტიზაცია		(890,861)	(112,580)
როიალტის ხარჯი	6	(748,460)	(33,740)
სხვა ხარჯები	7	(2,620,590)	(259,827)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		(2,330,604)	330,389
ფინანსური ხარჯი, წმინდა	8	(1,105,411)	(105,495)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა		(24,880)	(70,383)
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(3,460,895)	154,511
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული (ზარალი)/მოგება		(3,460,895)	154,511

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 25 ივლისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

გ. გვეტაძე

ფინანსური დირექტორი

ა. ჩუბინიძე

შპს „საზღოორჯია“

სრული შემოსავლის ანგარიშგება


საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023 (ივნისიდან)
ამონაგები		10,782,543	429,750
სხვა შემოსავალი	5	503,252	1,057,951
მარაგის ხარჯი		(4,663,124)	(222,830)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(3,846,425)	(475,963)
იჯარის ხარჯები		(846,939)	(52,372)
ცვეთა და ამორტიზაცია		(890,861)	(112,580)
როიალტის ხარჯი	6	(748,460)	(33,740)
სხვა ხარჯები	7	(2,620,590)	(259,827)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		(2,330,604)	330,389
ფინანსური ხარჯი, წმინდა	8	(1,105,411)	(105,495)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა		(24,880)	(70,383)
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(3,460,895)	154,511
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული (ზარალი)/მოგება		(3,460,895)	154,511


ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 25 ივლისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



გ. გვიტაძე

ფინანსური დირექტორი



ა. ჩუბინიძე

შპს „საბჟორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	5,715,620	3,014,244
არამატერიალური აქტივები	10	1,126,823	966,905
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები		110,183	490,232
გაცემული სესხები	11	-	504,027
		6,952,626	4,975,408
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	12	1,965,229	1,346,710
საგადასახადო აქტივი		-	417,706
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	405,980	406,808
ფული და ფულის ეკვივალენტები		68,681	162,896
		2,439,890	2,334,120
სულ აქტივები		9,392,516	7,309,528
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
(დაგროვილი ზარალი)/გაუნაწილებელი მოგება		(3,258,267)	104,501
სულ კაპიტალი		(3,258,267)	104,501
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	766,492	216,161
გადავადებული შემოსავალი	15	1,166,403	862,270
		1,932,895	1,078,431
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	1,904,843	998,950
საგადასახადო ვალდებულებები		142,833	-
მიღებული სესხები	14	8,670,212	5,127,646
		10,717,888	6,126,596
სულ ვალდებულებები		12,650,783	7,205,027
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		9,392,516	7,309,528

11 – 26 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „საბჟორჯია“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალი)	სულ
31.12.2022	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი	154,511	154,511
დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციების შედეგი (შენიშვნა 11)	(50,010)	(50,010)
31.12.2023	104,501	104,501
მთლიანი სრული ზარალი	(3,460,895)	(3,460,895)
დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციების შედეგი (შენიშვნა 11, 14)	98,127	98,127
31.12.2024	(3,258,267)	(3,258,267)

შპს „საბჟორჯია“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან (ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(3,460,895)	154,511
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	9,11	890,861	112,580
ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან	8	37,768	-
ფინანსური ხარჯი		1,105,411	105,495
ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა		24,880	70,383
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		(1,401,975)	442,969
მარაგების ზრდა		(618,518)	(1,346,710)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/ (ზრდა)		828	(379,291)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		906,626	992,228
საგადასახადო აქტივის შემცირება/(ზრდა)		417,706	(417,706)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა		142,833	-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(552,500)	(708,510)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები, წმინდა		(552,500)	(708,510)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(3,395,005)	(3,094,629)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		293,467	-
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები		-	(490,232)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(308,338)	(1,026,617)
გაცემული სესხები		-	(550,000)
გაცემულ სესხზე მიღებული პროცენტები		26,140	-
გაცემული სესხის დაბრუნება		550,000	-
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2,833,736)	(5,161,478)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის აღება		4,764,141	6,293,558
სესხების გადახდა		(680,545)	(119,038)
გადახდილი პროცენტები		(753,044)	(116,495)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		3,330,552	6,058,025
ფულადი სახსრების წმინდა (შემცირება)/ზრდა		(55,684)	188,037
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		162,896	-
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(38,531)	(25,141)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		68,681	162,896

შპს „საბჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს საბჯორჯია დაარსდა 2023 წელს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიამ საოპერაციო საქმიანობა დაიწყო 2023 წლის ივნისში. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან სამსონ ფხაკაძე (წილის 50%) და ლევან ფხაკაძე (წილის 50%). კომპანიას არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი პირი.

შპს საბჯორჯია წარმოადგენს სწრაფი კვების რესტორნების ქსელს, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს სენდვიჩებს, ყავას, ცივ სასმელებსა და სხვა პროდუქტებს. კომპანია საქმიანობს Subway International B.V.-ისგან მიღებული ფრანჩაიზინგის უფლების ფარგლებში, როგორც „მასტერ ფრანჩაიზორი“. მასტერფრანჩაიზინგის ხელშეკრულების შესაბამისად, ლიცენზიის ვადის განმავლობაში, ფრანჩაიზერი და მისი ნებისმიერი აფილირებული პირი არ განახორციელებს და არც მიაწოდებს სხვა პირს უფლებას, რომ მართოს ახალი რესტორანი, რომელიც ოპერირებს „საბჯის“ ბრენდით და ფიზიკურად მდებარეობს განვითარების ტერიტორიაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ოპერირებს 22 რესტორნით (2023: 12 რესტორანი).

კომპანიის იურიდიული მისამართია: ჭავჭავაძის გამზ. 74ბ, თბილისი, საქართველო. კომპანია რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 405620831.

კომპანიის დირექტორია ბატონი გივი გვეტაძე.

2. მომზადების საფუძვლები

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. 2023 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება მოიცავს ოპერაციებს 2023 წლის ივნისიდან, როდესაც კომპანიამ დაიწყო საოპერაციო საქმიანობა. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა (ლარი) არის ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც საწარმო ოპერირებს. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დაგროვილი ზარალი შეადგენს 3,258,267 ლარს, ხოლო კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები 8,277,998 ლარით აღემატება მოკლევადიან აქტივებს. კომპანიამ 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მიიღო წმინდა ზარალი 3,460,895 ლარი. ასევე, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებს ფინანსურ ინსტიტუტთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოთხოვნების ნაწილს, რაც შესაძლოა გახდეს ზანკის მიერ ხელშეკრულების ვადამდე ან ნაწილობრივ შეწყვეტის საფუძველი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებს Subway International B.V.-სთან გაფორმებული სალიცენზიო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ერთ-ერთ მოთხოვნას. ზემოაღნიშნული მოვლენები მიუთითებს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

მიუხედავად ზემოთ აღწერილი მნიშვნელოვანი გარემოებებისა, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მოცემული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღით კომპანია აგრძელებს ფუნქციონირებას. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისას, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობა მისი მიზნების მისაღწევად და შესასრულებლად. კომპანიის ხელმძღვანელობას აქვს გონივრული მოლოდინი, რომ კომპანიას, მთლიანობაში, აქვს საკმარისი რესურსი, ფუნქციონირების გასაგრძელებლად, ფინანსური ანგარიშგების გამოშვებიდან 12 თვის განმავლობაში.

ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება ეყრდნობა შემდეგ ფაქტორებს:

- კომპანიის დამფუძნებლები გამოთქამენ მზადყოფნას კომპანიისთვის ხელმისაწვდომი გახადონ დამატებითი ფინანსური რესურსები, საჭიროების შემთხვევაში. ფინანსური რესურსები შესაძლებელია წარმოადგენდეს შემდეგს: შენატანი კაპიტალში, ფინანსირება სუბორდინირებული სესხების მეშვეობით და ასე შემდეგ.
- 2025 წლის 16 ივნისს კომპანიამ ფინანსური ინსტიტუტისგან მოიპოვა წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კოვენანტების დარღვევების გამო, ბანკი არ ითხოვს 2025 წლის 31 დეკემბრამდე სესხის ვადაზე ადრე დაფარვას, თუმცა, მოთხოვნების დარღვევის გაგრძელების შემთხვევაში 2025 წლის 1 იანვრის შემდგომ, განუსაზღვრელია ბანკი გამოიყენებს თუ არა ხელშეკრულებით მინიჭებულ უფლებებს.
- კომპანიამ გააფართოვა საოპერაციო საქმიანობა და საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, მოცემული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, Subway International B.V.-ისგან მიღებული ფრანჩაიზინგის უფლების ფარგლებში, გახსნა საბვეის 3 ახალი რესტორანი თბილისში.
- პროექტის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, 2025 წელს კომპანიამ მიიღო სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან 1,840,000 ლარის ოდენობით. სესხის ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება სესხის აღებიდან 10 წლის ვადით.
- კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, დაკავშირებულ მხარესთან გაფორმებული საკრედიტო ხაზის ფარგლებში აითვისა გრძელვადიანი სესხი 2,460,125 ლარის ოდენობით, რომლის დაფარვის ვადა განსაზღვრულია 2028 წლის 31 დეკემბრით.

დეტალური ინფორმაცია ზემოთ აღწერილ მოვლენებზე მოცემულია მე-19 შენიშვნაში.

3. არსებითი საადრიცხო პოლიტიკა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. პროცენტიანი მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. პროცენტიანი ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთდროულად.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში და ფულს გზაში. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

გაცემული სესხები

კომპანიამ შეიძლება გასცეს სესხები ისეთი საპროცენტო განაკვეთებით ან სხვა პირობებით, რომლებიც არ შეესაბამება საბაზრო პირობებს, რის შედეგადაც სესხის საბაზრო ღირებულებასა და ნომინალურ თანხას შორის განსხვავება წარმოიშობა საწყის აღიარების დროს. სესხები საწყისი აღიარებისას შეფასდება მათი სამართლიანი ღირებულებით, რომელიც დათვლილია მომავალი ფულადი ნაკადების ამჟამინდელი დისკონტირებული ღირებულებით, ფასდაკლებით გამოყენებული ბაზარზე დაფუძნებული საპროცენტო განაკვეთით, რომელიც შეესაბამება მსგავსი პირობებისა და რისკის მქონე სესხს.

თუ სესხი გაიცემა პარტნიორზე ან სხვა დაკავშირებულ მხარეზე, მაშინ გარიგების ფასსა (ნომინალურ თანხას) და სამართლიან ღირებულებას შორის არსებული სხვაობა მიიჩნევა კაპიტალის ტრანზაქციად. ასეთ შემთხვევაში, დისკონტირების ეფექტი აღიარება კაპიტალში (გაუნაწილებელ მოგებაში) და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. საწყისი აღიარების შემდგომ, სესხი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მიღებული საპროცენტო შემოსავალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სესხის ვადის განმავლობაში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები**

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ძირითადი საშუალება	
რესტორნის აღჭურვილობა და ტექნიკური აღჭურვილობა	5-7
სატრანსპორტო საშუალება	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10
ნაგებობები და კონსტრუქციები	10
არამატერიალური აქტივი	
პროგრამული უზრუნველყოფა	15
ფრანშიზის უფლება	10

ძირითადი საშუალებების სარემონტო დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ კაპიტალური დანახარჯების კრიტერიუმებს.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა. ცვლილების შესაბამისი შედეგის ასახვა ხდება პერსპექტიულად. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და საბალანსო ღირებულებასთან შედარება. გაუფასურების დანახარჯის აღიარება ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება „ფიფო“ - პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში, ღირებულებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

გადასახადები

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2016 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ პერიოდში კომპანია ყველა გადასახადს იხდის ერთიან საბაზინო კოდეზე. შედეგად, კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების წარდგენილია ურთიერთგადახურვის საფუძველზე.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დაგროვილი ზარალი

დაგროვილი ზარალი წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდებში მიღებულ აკუმულირებულ შედეგს, ასევე კომპანიის დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული მიღებული/გაცემული სესხების დისკონტირების ეფექტს. აღნიშნული ოპერაციები მიჩნეულია, როგორც დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები.

ამონაგები

ამონაგების განსაზღვრა ხდება მომსახურების გაწევიდან ან/და საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგები წარმოადგენილია ფასდაკლებების გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როცა შემდეგი პირობებია შესრულებული:

- ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

სხვა შემოსავალი

საბვეი ინტერნეტშენა ზ.ვ.-სთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანია კრებს როიალტის გადასახადს საბვეის ფრანჩაიზორებისგან და ურიცხავს საბვეი ინტერნეტშენალს. აღნიშნულ ტრანზაქციებში კომპანია წარმოადგენს აგენტს და არ იღებს ფრანჩაიზორების როიალტთან დაკავშირებულ რისკებსა და სარგებელს.

ფრანჩაიზორებისგან აკრეფილი და ლიცენზიის გამცემისთვის გადარიცხული თანხები არ აისახება კომპანიის შემოსავალს ან ხარჯში. შემოსავლად აღიარდება მომსახურების ის საფასური ან საკომისიო, რომელიც წარმოადგენს კომპანიის მიერ ხელშეკრულების მიხედვით მისაღებ ნეტო თანხას.

ფრანჩაიზორების როიალტთან დაკავშირებით გადასახდელი თანხები აღირიცხება, როგორც საბვეი ინტერნეტშენალისთვის გადასახდელი ვალდებულება, ხოლო ფრანჩაიზორებისგან მისაღები თანხები, როგორც, მოთხოვნა.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სახელმწიფო გრანტების აღიარება

სახელმწიფო გრანტი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გაწეულ დახმარებას საწარმოსათვის რესურსების გადაცემის სახით, საწარმოს სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი გარკვეული პირობების სანაცვლოდ.

საწარმო სახელმწიფო გრანტს აღიარებს შემდეგნაირად:

ა) გრანტი, რომელიც არ შეიცავს მომავალში გრანტის მიმღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, აღიარდება შემოსავალში მაშინ, როდესაც გრანტის შემოსულობები მიღებადი გახდება;

ბ) გრანტი, რომელიც ითვალისწინებს მომავალში გრანტის მიმღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავლად მხოლოდ მას შემდეგ აღიარდება, როდესაც გრანტის ყველა პირობა შესრულდება; და

გ) თუ საწარმო მანამდე იღებს გრანტს, სანამ ამონაგების აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილდება, ასეთი გრანტი აღიარდება როგორც ვალდებულება.

საწარმო გრანტებს აფასებს მიღებული ან მისაღები აქტივის რეალური ღირებულებით.

თუ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიას ჯერ არ შეუსრულებია გრანტის მისაღებად აუცილებელი პირობები, გრანტის თანხა აღირიცხება გადავადებული შემოსავლის სახით ვალდებულებებში მანამ, სანამ აღნიშნული პირობები არ დაკმაყოფილდება.

სესხის საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები არ აისახება გადავადებული შემოსავლის ნაშთში, არამედ პირდაპირ აღირიცხება მოგების და ზარალის ანგარიშში.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევის დროს გაწეული ხარჯები აღიარდება შესაბამისი სარგებლის აღიარების პროპორციულად.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ხარჯი საოპერაციო იჯარიდან

კომპანია ქირაობს ფართებს თავისი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად და აკლასიფიცირებს, როგორც საოპერაციო იჯარას. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების სპეციფიკას.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და თანამშრომლებისთვის გაცემული სხვა არა-ფულადი სარგებელი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ხდება თანამშრომელთა მიერ კომპანიისთვის მომსახურების გაწევა.

როიალტის ხარჯი

Subway International B.V.-ის ლიცენზიის გამოყენებასთან დაკავშირებული როიალტის ხარჯი აღიარდება ლიცენზიის მოქმედების პერიოდში წრფივი მეთოდით. ხარჯი განისაზღვრება ფიქსირებული განაკვეთით, ლიცენზიის ხელშეკრულების შესაბამისად.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანიას შემუშავებული აქვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია. კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს ფუნქციონირებადობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის/ამორტიზაციის განაკვეთის კორექტირება.

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის დროს კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. გადაწყვეტილება მიიღება იმის განსაზღვრით, არის თუ არა ტრანზაქციები შეფასებული საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, სადაც არ არის აქტიური ბაზარი ასეთი ოპერაციებისთვის. მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს ოპერაციათა ანალოგიური სახეობის ფასწარმოქმნა არადაკავშირებულ მხარეებთან და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

შპს „საბჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

სახელმწიფო გრანტების აღიარება. სახელმწიფო გრანტი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გაწეულ დახმარებას საწარმოსათვის რესურსების გადაცემის სახით, საწარმოს სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი გარკვეული პირობების სანაცვლოდ.

კომპანია გრანტებს აფასებს მიღებული ან მისაღები აქტივის რეალური ღირებულებით. თუ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიას ჯერ არ შეუსრულებია გრანტის მისაღებად აუცილებელი პირობები, გრანტის თანხა აღირიცხება გადავადებული შემოსავლის სახით ვალდებულებებში მანამ, სანამ აღნიშნული პირობები არ დაკმაყოფილდება.

სესხის საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები არ აისახება გადავადებული შემოსავლის ნაშთში, არამედ პირდაპირ აღირიცხება მოგების და ზარალის ანგარიშში.

5. სხვა შემოსავალი

	2024	2023
შემოსავალი მესამე მხარეების როიალტის და მარკეტინგული მომსახურების გადასახადების აკრებიდან, წმინდა*	421,459	149,198
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	26,579	-
მარკეტინგული ფონდის დაფინანსება SUBWAY INTERNATIONAL B.V.-ის მიერ**	-	877,542
სხვა	55,214	31,211
	503,252	1,057,951

(*) - კომპანია მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე მასტერფრანჩაიზორის სტატუსით და აგროვებს როიალტისა და მარკეტინგის მოსაკრებლებს ფრანჩაიზორებისგან. აღნიშნული მოსაკრებლები შემდგომში გადაერიცხება Subway International B.V.-ს. წარდგენილი შემოსავალი ასახავს კომპანიის მიერ გაწეული მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალს.

(**) - მას შემდეგ, რაც კომპანიამ საქართველოს ტერიტორიაზე მასტერფრანჩაიზორის სტატუსი მოიპოვა, Subway International B.V.-ისგან ერთჯერადად მიიღო დაფინანსება მარკეტინგული აქტივობების მხარდასაჭერად. აღნიშნული დაფინანსება კომპანიისთვის გაიცა კონკრეტული ვალდებულებებისა და პირობების გარეშე.

6. როიალტის ხარჯი

კომპანია ოპერირებს Subway International B.V.-სთან გაფორმებული ლიცენზიის ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც აძლევს მას უფლებას, გახსნას და მართოს Subway-ს რესტორნები განსაზღვრულ ტერიტორიაზე. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიის როიალტის ხარჯი საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 748,460 ლარს (2023: 33,720 ლარი).

7. სხვა ხარჯები

	2024	2023
მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(718,027)	(69,076)
მიწოდების სხვა ხარჯები	(665,928)	(902)
ტრანსპორტირების ხარჯი	(346,006)	(14,928)
სხვა საგადასახადო ხარჯები	(208,231)	(26,365)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(199,584)	(26,249)
კომუნალური ხარჯი	(150,519)	(12,351)
რემონტისა და შეკეთების ხარჯი	(119,817)	(21,586)
პროგრამული მომსახურების ხარჯი	(67,441)	(18,461)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(28,645)	(12,862)
სხვა ხარჯი	(116,392)	(57,047)
	(2,620,590)	(259,827)

შპს „საბჟორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

8. ფინანსური ხარჯი, წმინდა

	2024	2023
ფინანსური ხარჯი		
ფინანსური ინსტიტუტები	(1,095,565)	(102,930)
დაკავშირებული მხარე	(31,949)	(6,602)
სულ ფინანსური ხარჯი	(1,127,514)	(109,532)
ფინანსური შემოსავალი		
დაკავშირებული მხარე	22,103	4,037
სულ ფინანსური შემოსავალი	22,103	4,037
	(1,105,411)	(105,495)

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	რესტორნის და ოფისის აღჭურვილობა	ნაგებობები და კონსტრუქციები	სატრანსპორტო საშუალება	სულ
31.12.2022	-	-	-	-	-
შემოსვლა	989,545	2,104,959	-	-	3,094,504
გასვლა	-	(27,517)	-	-	(27,517)
31.12.2023	989,545	2,077,442	-	-	3,066,987
შემოსვლა	1,232,072	2,424,352	102,034	19,431	3,777,889
გასვლა	-	(349,186)	-	-	(349,186)
31.12.2024	2,221,617	4,152,608	102,034	19,431	6,495,690
დაგროვილი ცვეთა					
31.12.2022	-	-	-	-	-
ცვეთა	(2,332)	(50,536)	-	-	(52,868)
გასვლა	-	125	-	-	125
31.12.2023	(2,332)	(50,411)	-	-	(52,743)
ცვეთა	(70,276)	(667,915)	(630)	(3,622)	(742,443)
გასვლა	-	15,116	-	-	15,116
31.12.2024	(72,608)	(703,210)	(630)	(3,622)	(780,070)
საბალანსო ღირებულება					
31.12.2023	987,213	2,027,031	-	-	3,014,244
31.12.2024	2,149,009	3,449,398	101,404	15,809	5,715,620

შპს „საბჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

10. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ფრანჩაიზინგი	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
31.12.2022	-	-	-
შემოსვლა	985,037	41,580	1,026,617
31.12.2023	985,037	41,580	1,026,617
შემოსვლა	308,336	-	308,336
31.12.2024	1,293,373	41,580	1,334,953
დაგროვილი ამორტიზაცია			
31.12.2022	-	-	-
ამორტიზაცია	(58,482)	(1,230)	(59,712)
31.12.2023	(58,482)	(1,230)	(59,712)
ამორტიზაცია	(145,638)	(2,780)	(148,418)
31.12.2024	(204,120)	(4,010)	(208,130)
საბალანსო ღირებულება			
31.12.2023	926,555	40,350	966,905
31.12.2024	1,089,253	37,570	1,126,823

11. გაცემული სესხები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გაცემული აქვს არაუზრუნველყოფილი გრძელვადიანი სესხი დაკავშირებულ მხარესთან 504,027 ლარის ოდენობით. გაცემული სესხის ნომინალური საპროცენტო განაკვეთი ლარში შეადგენს 14.1%-ს. სესხის დაბრუნების საბოლოო ვადაა არაუგვიანეს 2028 წლის 31 დეკემბრისა.

2023 წლის განმავლობაში გაცემულ სესხზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 4,037 ლარი. სესხის სახელშეკრულებო პირობები იყო არასაბაზრო, შესაბამისად, სესხის საწყისი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (13.4%) დისკონტირების შედეგად წარმოშობილმა ეფექტმა შეადგინა 50,010 ლარი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახულია კაპიტალში, როგორც დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციის შედეგი. 2024 წელს აღნიშნული სესხი სრულად დაიფარა და დაფარვის შედეგი (50,010 ლარი) აისახა კაპიტალის მუხლში.

12. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
ნედლეული და სხვა სარესტორნო მარაგი	1,432,067	896,018
სახარჯი მასალები	533,162	450,692
	1,965,229	1,346,710

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული და სამომავლო მარაგებით (დეტალები მოცემულია მე-14 შენიშვნაში).

შპს „საბაგორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური მოთხოვნები:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	322,862	216,980
არაფინანსური მოთხოვნები:		
სავაჭრო ავანსები	83,118	189,828
	405,980	406,808

14. მიღებული სესხები

	31.12.2024	31.12.2023
გრძელვადიანი		
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები	766,492	216,161
გრძელვადიანი წარდგენილი, როგორც მიმდინარე		
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები ლარში*	7,478,589	4,152,982
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები ევროში	740,731	853,476
მოკლევადიანი		
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები ლარში*	351,967	77,964
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები ევროში	98,925	43,224
	8,670,212	5,127,646

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია დაკავშირებული მხარეების უძრავი ქონებით; კომპანიის საკუთრებაში არსებული და სამომავლო მარაგებით და პარტნიორების სოლიდარული თავდებობით. აღნიშნულთან დაკავშირებით არ მომხდარა ნაშთების კორექტირება არაარსებითობიდან გამომდინარე.

(*) - 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია მონაწილეობს პროექტში - „აწარმოე საქართველოში“, რომლის ფარგლებშიც კომპანიას უფინანსდება ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტის ნაწილი. დეტალური ინფორმაცია დაფინანსების შესახებ მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხების წლიური საპროცენტო განაკვეთები მერყეობს 4.25%-4.5% + საბაზისო განაკვეთი-დან - 9%-მდე. აღნიშნულ სესხებზე კომპანიას გააჩნია ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები, ე.წ. კოვენანტები. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებდა კოვენანტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს სრულად, რის გამოც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხები საბალანსო ღირებულებით 8,219,320 ლარი (2023: 5,127,646 ლარი), წარდგენილია მოკლევადიან ვალდებულებად. დამატებითი ინფორმაცია ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვების შესახებ მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

კომპანიას დაკავშირებული მხარისგან აქვს მიღებული გრძელვადიანი სესხი, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 14.1%-ს. სესხის დაბრუნების საბოლოო ვადა არაუგვიანეს 2028 წლის 31 დეკემბრისა. სესხის სახელშეკრულებო პირობები იყო არასაბაზრო, შესაბამისად, სესხის საწყისი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (13.22%) დისკონტირების შედეგად წარმოშობილმა ეფექტმა შეადგინა 48,117 ლარი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახულია კაპიტალში, როგორც დაკავშირებულ პირებთან ტრანზაქციის შედეგი.

15. გადავადებული შემოსავალი

კომპანია 2023 წლის 3 ივლისიდან მონაწილეობს პროექტში „აწარმოე საქართველოში“. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება საქართველოს პრემიერ მინისტრის ინიციატივით და მიმართულია ქვეყანაში მეწარმეობის განვითარების და მხარდაჭერის, საწარმოების შექმნის ხელშეწყობის და არსებული საწარმოების განვითარებისკენ.

პროგრამის ფარგლებში სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ კომპანიებს უფინანსებს წარმოების/მომსახურების გაწევისთვის საჭირო ძირითადი საშუალებების და საბრუნავი საშუალებებისთვის მიღებული სესხების პროცენტს, საქართველოს მთავრობის N365 დადგენილებაში განსაზღვრული პროპორციების შესაბამისად. კომპანია მიღებულ სარგებელს განიხილავს, როგორც სახელმწიფო გრანტს და წარადგენს, როგორც გადავადებულ შემოსავალს, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სხვაობას სესხის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებულმა შემოსავალმა შეადგინა 1,166,403 ლარი (31.12.2023: 862,270 ლარი).

15. გადავადებული შემოსავალი (გაგრძელება)

აღნიშნული გრანტის შემოსავლად აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოხდება სააგენტოს მიერ დაწესებული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში, მის ფასს სტანდარტების შესაბამისად.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს სრულად დაკმაყოფილებული ზემოთ აღნიშნული სქემით მოთხოვნილი პირობები, შესაბამისად პროექტის ფარგლებში მიღებული დაფინანსების თანხები აღიარებულია, როგორც გადავადებული შემოსავალი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1,273,564	414,721
გრძელვადიანი აქტივების შეძენიდან წარმოქმნილი სხვა ვალდებულებები	535,848	551,042
თანამშრომლების მიმართ არსებული ვალდებულებები	95,431	33,187
	1,904,843	998,950

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მსს ფასს 33-ე განყოფილება „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

შპს „საბჟორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

დაკავშირებული მხარეები მოიცავს სხვა დაკავშირებულ მხარეებსა და უმაღლეს ხელმძღვანელობაში შემავალ პირებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დაკავშირებული მხარე	31.12.2024	31.12.2023
გაცემული სესხები	სხვა	-	504,027
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სხვა	21,032	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა	536,184	139,638
მიღებული სესხები	სხვა	766,492	216,161

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დაკავშირებული მხარე	2024	2023
ამონაგები	სხვა	63,036	3,704
სხვა შემოსავალი	სხვა	34,969	-
სხვა ხარჯები	სხვა	(9,072)	-
საიჯარო ხარჯები	სხვა	(283,754)	(32,577)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა მოკლევადიანი სარგებელი	უმაღლესი ხელმძღვანელობა	(113,731)	(65,984)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	სხვა	(9,846)	(2,565)

2024 წელს კომპანიამ დაკავშირებული მხარეებისგან შეიძინა 160,370 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები (2023: 0).

2023 წელს კომპანიამ გასცა სესხი 550,000 ლარის ოდენობით სხვა დაკავშირებულ მხარეზე. სესხის სახელშეკრულებო პირობები იყო არასაბაზრო, შესაბამისად, სესხის საწყისი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (13.4%) დისკონტირების შედეგად წარმოშობილმა ეფექტმა შეადგინა 50,010 ლარი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახულია კაპიტალში, როგორც დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციის შედეგი. 2024 წელს აღნიშნული სესხი სრულად დაიფარა და დაფარვის შედეგი (50,010 ლარი) აისახა კაპიტალის მუხლში.

კომპანიამ 2024 წელს სხვა დაკავშირებული მხარისგან მიიღო გრძელვადიანი სესხი 776,500 ლარის ოდენობით. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 14.1%-ს. სესხის დაბრუნების საბოლოო ვადა არაუგვიანეს 2028 წლის 31 დეკემბრისა. სესხის სახელშეკრულებო პირობები იყო არასაბაზრო, შესაბამისად, სესხის საწყისი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (13.22%) დისკონტირების შედეგად წარმოშობილმა ეფექტმა შეადგინა 48,117 ლარი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახულია კაპიტალში, როგორც დაკავშირებულ პირებთან ტრანზაქციის შედეგი.

18. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან,

18. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

მმართველობის ანგარიშგება

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით (პუნქტი 7) კომპანიას აქვს ვალდებულება მოამზადოს და სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოში წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. ამ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის, კომპანიას არ აქვს შესრულებული აღნიშნული ვალდებულება.

შეუქცევადი საოპერაციო იჯარები

კომპანიას აქვს იჯარით აღებული ფართები საოპერაციო საქმიანობისთვის. იჯარები არის საოპერაციო და მათი ვადაა 1-დან 20 წლამდე. კომპანიას 2024 და 2023 წლების ბოლოს ჰქონდა საოპერაციო იჯარებთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო ვალდებულებები:

	31.12.2024	31.12.2023
1 წლამდე	1,314,819	404,888
1-დან 5 წლამდე	2,596,474	1,262,636
5 წელზე მეტი	4,050,451	3,060,377

ცხრილში მოცემული სახელშეკრულებო ვალდებულებებიდან კომპანიის შეუქცევადი საოპერაციო იჯარის ვალდებულება 31.12.2024 მდგომარეობით შეადგენს 174,332 ლარს (2023: 95,813 ლარი).

მასტერ ფრანჩაიზინგის ლიცენზიასთან დაკავშირებული ვალდებულებები

კომპანიამ მიიღო მასტერ ფრანჩაიზორის ლიცენზია Subway International B.V.-სგან. კომპანიას უფლება აქვს, ლიცენზია განახლოს საწყისი 7-წლიანი ვადის („საწყისი ვადა“) გასვლის შემდეგ, დამატებით 7-წლიან ვადაზე, იმ შემთხვევაში, თუ დააკმაყოფილებს კონკრეტულ ფინანსურ და არა-ფინანსურ კოვენანტებს, რომლებიც განსაზღვრულია ხელშეკრულებით.

ფრანჩაიზინგის ფარგლებში შესასრულებელი განვითარების ვალდებულებები

კომპანიას გააჩნია გარკვეული ვალდებულებები, რომლებიც უნდა შეასრულოს თითოეული განვითარების პერიოდისთვის Subway International B.V.-სგან მიღებული ფრანჩაიზინგის ლიცენზიის საფუძველზე:

ვალდებულების აღწერა	31.12.2024	31.12.2023
სრულ შესაბამისობაში ყოფნა განვითარების გრაფიკთან	შესრულებულია	შესრულებულია
მაქსიმალური ლევერიჯის მაჩვენებელი*	ვერ ასრულებს	შესრულებულია
რესტორნის საქმიანობის მიზნობრივი მაჩვენებლები	შესრულებულია	შესრულებულია
რესტორნების გახსნის წლიური მიზნობრივი რაოდენობა	შესრულებულია	შესრულებულია
რემოდელირების შესაბამისობა	N/A	N/A

(*) - თუ კოეფიციენტთან დაკავშირებული მოთხოვნა დარღვეულია და ეს მდგომარეობა გრძელდება ექვს (6) თვეზე მეტ ხანს, ეს ჩაითვლება მასტერ-ფრანჩაიზის ხელშეკრულების (MFA) დარღვევად და შესაძლოა გამოიწვიოს აღნიშნული ხელშეკრულების შეწყვეტა.

18. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)**მიღებულ სესხებთან დაკავშირებული კოვენანტები**

კომპანიას ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებულ სესხებთან დაკავშირებით გააჩნია გარკვეული ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები, რომლებიც უნდა შეასრულოს.

კოვენანტების აღწერა	31.12.2024	31.12.2023
არაფინანსური		
კომპანიისთვის შეზღუდულია გარკვეული ქმედებები ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე	ვერ აკმაყოფილებს	ვერ აკმაყოფილებს
მსესხებლის კაპიტალის და გარანტიორების წილების უფლებრივად დატვირთვაზე შეზღუდვა	აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს
ფინანსური	ვერ აკმაყოფილებს	
ვალდებულებები /წმინდა საოპერაციო მოგებაზე	ვერ აკმაყოფილებს	ვერ აკმაყოფილებს
სესხის სარგებლის მომსახურების კოეფიციენტი (ICR)	ვერ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს
სესხის მომსახურების კოეფიციენტი (DSCR)	ვერ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს
6 თვის ბიუჯეტის შესაბამისობა	N/A	N/A

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნებიდან ნაწილი არ აქვს შესრულებული. თუმცა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, კომპანიამ ფინანსური ინსტიტუტისგან მოიპოვა პატიების წერილი, რომლის თანახმადაც, მიუხედავად დარღვევებისა, ბანკი კომპანიას არ სთხოვს სესხის ვადამდე დაფარვას (დეტალისთვის იხილეთ შენიშვნა 19). მიუხედავად ამისა, რადგანაც კრედიტორებს გრძელვადიანი სესხების დაფარვის მოთხოვნის უფლება აქვთ 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ აღნიშნული სესხები წარადგინა, როგორც მოკლევადიანი. გრძელვადიანი სესხების ღირებულება, რომლებიც წარდგენილია, როგორც მიმდინარე 31.12.2024 მდგომარეობით შეადგენს 8,219,320 ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 5,006,458 ლარს.

სახელმწიფო გრანტი

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას მიღებული აქვს სესხები ფინანსური ინსტიტუტისგან, რომელიც გაცემულია სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური სამრეწველო კომპონენტის თანადაფინანსების ფარგლებში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებით. მიღებული თანადაფინანსების სანაცვლოდ, კომპანიას აქვს ვალდებულებები, რომლებიც განსაზღვრულია აღნიშნულ დადგენილებაში.

სახელმწიფო გრანტი ითვალისწინებს დადგენილებით განსაზღვრული პირობების შესრულებას გრძელვადიან პერიოდში. შესაბამისად, 2024 და 2023 წლის მდგომარეობით, კომპანიას სრულად არ აქვს შესრულებული დადგენილებით გათვალისწინებული პირობები, რის გამოც პროექტის ფარგლებში მიღებული თანადაფინანსების თანხები აღიარებულია როგორც გადადებული შემოსავალი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**მიღებული სესხების ფინანსურ და არაფინანსურ მოთხოვნებთან დაკავშირებული წერილი**

2025 წლის 16 ივნისს კომპანიამ ფინანსური ინსტიტუტისგან მოიპოვა წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კოვენანტების დარღვევების გამო, ბანკი არ ითხოვს 2025 წლის 31 დეკემბრამდე სესხის ვადაზე ადრე დაფარვას, თუმცა, მოთხოვნების დარღვევის გაგრძელების შემთხვევაში 2025 წლის 1 იანვრის შემდგომ, განუსაზღვრელია ბანკი გამოიყენებს თუ არა ხელშეკრულებით მინიჭებულ უფლებებს.

სესხების მიღება/დაფარვა

პროექტის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, 2025 წელს კომპანიამ მიიღო სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან 1,840,000 ლარის ოდენობით. სესხის პროცენტი განისაზღვრა წლიურ საბაზისო განაკვეთს დამატებული 7%, მაგრამ არანაკლებ 15%-ისა. სესხის თანხა განკუთვნილია საბვეის 3 რესტორნის გახსნისთვის: რესტორნის კეთილმოწყობის, დანადგარების შესაძენად და საბრუნავი საშუალების დაფინანსებისთვის. სესხის ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება სესხის აღებიდან 10 წლის ვადით.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, დაკავშირებულ მხარესთან გაფორმებული საკრედიტო ხაზის ფარგლებში აითვისა გრძელვადიანი სესხი 2,460,125 ლარის ოდენობით, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია 14.1%-ით, ხოლო დაფარა სესხი 583,000 ლარის ოდენობით.

რესტორნების გახსნა

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, მოცემული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, კომპანიამ Subway International B.V.-ისგან მიღებული ფრანჩაიზინგის უფლების ფარგლებში, გახსნა 3 ახალი საბვეის რესტორანი თბილისში.

დამფუძნებლის წერილი ფინანსირების შესახებ

2025 წლის 17 ივლისს დათარიღებული დამფუძნებლის წერილის მიხედვით ფინანსირების შესახებ, კომპანიის მფლობელები მზად არიან კომპანიისთვის ხელმისაწვდომი გახადონ დამატებითი ფინანსური რესურსები, საჭიროების შემთხვევაში. ფინანსური რესურსები შესაძლებელია წარმოადგენდეს შემდეგს: შენატანი კაპიტალში, ფინანსირება სუბორდინირებული სესხების მეშვეობით და ასე შემდეგ.

შპს საბჭოთა

მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024
წლის 31 დეკემბერს

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე..... 3

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა 4

განვითარების გეგმები 4

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა 4

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ 4

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 4

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ..... 6

ფინანსური, საოპერაციო და სტრატეგიული რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის
მექანიზმების შესახებ 7

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

შპს „საბჯორჯიას“ დამფუძნებლებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე 2025 წლის 25 ივლისს. სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მივიღეთ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით, გარდა იმ შესაძლო ეფექტისა, რომელიც მოცემულია 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის აბზაცში „პირობითი მოსაზრების საფუძველი“, გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.


მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრელობაზე და მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:



დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

29 ივლისი 2025

შპს საბჯორჯია

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „საბჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) თავისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მიხედვით წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 405620831. კომპანიის იურიდიული მისამართია ილია ჭავჭავაძის გამზირი 74ბ. კომპანიის დირექტორია გივი გვეტაძე.

კომპანიის მესაკუთრეები არიან:

- სამსონ ფხაკაძე - 50%;
- ლევან ფხაკაძე - 50%.

საზოგადოების მმართველობითი ორგანოებია პარტიიორთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო, გენერალური დირექტორი.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისგან:

- სამსონ ფხაკაძე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე,
- ლევან ფხაკაძე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- სოფიო გაფრინდაშვილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

შპს „საბჯორჯიას“ საქმიანობის საგანს წარმოადგენს Subway-ს ბრენდის სწრაფი კვების ობიექტების (რესტორნებისა და კაფეების) მშენებლობა, მათი თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მოწყობა და შემდგომი ექსპლოატაცია. კომპანია ოპერირებს Subway International B.V.-ს მიერ მინიჭებული ფრენჩაიზის უფლებით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს საბჯორჯია ფლობს 22 მოქმედ ობიექტს.

2024 წლის ბოლოსთვის დაქირავებულ თანამშრომელთა რაოდენობა საბჯორჯიაში შეადგენდა 349 თანამშრომელს, (2023 წლის ბოლოსთვის - 140 თანამშრომელი).

განვითარების გეგმები

კომპანიის განვითარების გეგმების მიხედვით 2025 წელს კომპანიას დაგეგმილი აქვს არანაკლებ 8 რესტორნის გახსნა.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის ჩატარებული კვლევა-ძიების სამუშაოები.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიას 2024 წლის განმავლობაში არ გამოუსყიდია საკუთარი აქციები.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

საბჯორჯიას საოპერაციო (ხარალი)/მოგება ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯის გათვალისწინების გარეშე 2024 წელს შეადგენდა (1,440) ათას ლარს, ხოლო 2023 წელს ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა 443 ათას ლარს. მაჩვენებელში არსებითი ცვლილება გამოწვეულია, 2023 წელთან შედარებით, სხვა შემოსავლის კლებით, სადაც გათვალისწინებული იყო Subway International B.V.-ისგან, 2023 წელში, ერთჯერადად მიღებული, მარკეტინგული აქტივობის დაფინანსება, რაც ძირითადად 2024 წელში გაიხარჯა. ასევე, 2024 წელი კომპანიისთვის იყო პირველი, სრული საოპერაციო წელი, რა დროსაც კომპანია მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებდა საოპერაციო საქმიანობაში. კომპანიამ 2025 წლის განმავლობაში შეძლო ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესება და მისი ხედვაა, რომ, მასტერფრენჩაიზით გათვალისწინებული განვითარების გეგმის განხორციელებით, შეძლებს მომგებიანობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მომავალშიც, მასშტაბის ეკონომიის მიღწევით და ერთ რესტორანზე ადმინისტრაციული ხარჯის წილის მნიშვნელოვანი შემცირებით.

შპს საბჯორჯია

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ლიკვიდურობის კოეფიციენტმა (Current Ratio - მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებებთან) 2024 წელს შეადგინა 0.23, ხოლო 2023 წელს 0.38. აღნიშნული მაჩვენებელი გაუარესებულია, რაც წინა პერიოდისგან განსხვავებით ძირითადად გამოწვეულია ბანკისგან მიღებული სესხების ზრდით, რომელიც, გრძელვადიანი სესხია, თუმცა გარკვეული სასესხო პირობების (კოვენანტების) დროებითი შეუსრულებლობის გამო კლასიფიცირებულია მოკლევადიან სესხად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბანკის მხრიდან 2025 წელს მიღებული წერილის მიხედვით, სასესხო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული კოვენანტების 31.12.2024 მდგომარეობით არსებული დარღვევის მიუხედავად, არ არსებობს სესხის წინსწრებით დაფარვის მოთხოვნის განზრახვა.

ინფორმაცია კომპანიის სრული შემოსავლების ანგარიშგების შესახებ მოცემულია ქვემოთ:

	2024	2023
ამონაგები	10,782,543	429,750
სხვა შემოსავალი	503,252	1,057,951
მარაგის ხარჯი	(4,663,124)	(222,830)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(3,846,425)	(475,963)
იჯარის ხარჯები	(846,939)	(52,372)
ცვეთა და ამორტიზაცია	(890,861)	(112,580)
როიალტის ხარჯი	(748,460)	(33,740)
სხვა ხარჯები	(2,620,590)	(259,827)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება	(2,330,604)	330,389
ფინანსური ხარჯი, წმინდა	(1,105,411)	(105,495)
საკუროს სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა	(24,880)	(70,383)
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე	(3,460,895)	154,511
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
მთლიანი სრული (ზარალი)/მოგება	(3,460,895)	154,511

შპს საბჯორჯია

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ინფორმაცია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესახებ მოცემულია ქვემოთ:

	31.12.2024	31.12.2023
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	5,715,620	3,014,244
არამატერიალური აქტივები	1,126,823	966,905
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები	110,183	490,232
გაცემული სესხები	-	504,027
	6,952,626	4,975,408
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	1,965,229	1,346,710
საგადასახადო აქტივი	-	417,706
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	405,980	406,808
ფული და ფულის ეკვივალენტები	68,681	162,896
	2,439,890	2,334,120
სულ აქტივები	9,392,516	7,309,528
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
(დაგროვილი ზარალი)/გაუნაწილებელი მოგება	(3,258,267)	104,501
	(3,258,267)	104,501
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	766,492	216,161
გადავადებული შემოსავალი	1,166,403	862,270
	1,932,895	1,078,431
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,904,843	998,950
საგადასახადო ვალდებულებები	142,833	-
მიღებული სესხები	8,670,212	5,127,646
	10,717,888	6,126,596
სულ ვალდებულებები	12,650,783	7,205,027
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	9,392,516	7,309,528

სხვა ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

შპს საბჯორჯია

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური, საოპერაციო და სტრატეგიული რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

- **საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება დებიტორულ დავალიანებაზე რაც საბჯორჯიას გააჩნია კლიენტებისადმი. კომპანიის მომხმარებლებს, საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე, წარმოადგენენ ძირითადად საცალო მომხმარებლები და გარკვეულწილად კორპორატიული მომხმარებლები.

- **საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი გამომდინარეობს კვების ინდუსტრიის კაფე-რესტორნების კონკურენტული გარემოდან, რომელსაც ქმნიან სხვა ბრენდული თუ არაბრენდული ქსელები. კაფე-რესტორნების ბიზნესი გამოირჩევა მაღალი კონკურენციით. ბაზარზე წარმოდგენილია როგორც ბრენდული, ასევე არაბრენდული კვების ობიექტები. კონკურენცია მიმდინარეობს საფასო, მომსახურების ხარისხის და პროდუქციის ხარისხის სეგმენტში ბრენდულ ობიექტებთან მიმართებაში, ხოლო მომსახურების ხარისხით (ობიექტის ვიზუალი, ოპერატორის ურთიერთობა მომხმარებელთან, მაღალი ცნობადობა) არაბრენდულ რესტორნებთან მიმართებაში. შედეგად, კომპანია გენერალური დირექტორის, მარკეტინგის დირექტორის, ფინანსური დირექტორის და ოპერაციების დირექტორის შემადგენლობით, მუდმივად განიხილავს კონკურენტების საფასო პოლიტიკას, ახალ პროდუქტებს, ფასდაკლებებს და ახდენს შესაბამის რეაგირებას. რეაგირება ასევე ხდება არსებული მომსახურებების გაუმჯობესების მიმართებაში, რათა მომხმარებლისთვის მისაღები და სასურველი იყოს საბჭვის პროდუქტების შეძენა.

- **ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა**

საბრუნავ კაპიტალში, მიმდინარე აქტივების სიდიდე ნაკლებია მიმდინარე ვალდებულებების სიდიდეზე 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიღებული მოკლევადიანი სესხების გამო. დამატებით, კომპანიამ დაიწყო თავისი ფულადი სახსრების უფრო აქტიური მართვა, პროგნოზირება და დაგეგმვა, რაც მენეჯმენტის აზრით უფრო ეფექტურს გახდის ლიკვიდურობის კონტროლს.

- **საოპერაციო რისკი**

საოპერაციო რისკების მინიმიზაციის მიზნით კომპანიაში არსებული საოპერაციო დეპარტამენტი მუდმივად ახორციელებს ვიზიტებს ობიექტებზე, პერიოდულად ხდება ობიექტების მენეჯერებთან შეხვედრები. ყოველდღიურ რეჟიმში ხდება სასაქონლო მატერიალური მარაგების კონტროლი და მონიტორინგი, რაც ზრდის ოპერაციულ ეფექტურობას.

საოპერაციო საქმიანობის და რისკების მართვის ნაწილში კომპანია იღებს მხარდაჭერას, ნოუჰაუსს, კონსულტაციებს საბჭვის საერთაშორისო ოფისებიდან (Subway International), რომელთანაც გაფორმებულია მასტერფრანჩაიზინგის კონტრაქტი.

-

- **საბაზრო და სავალუტო რისკები**

გარდა ზემოჩამოთვლილი რისკებისა, ორი მთავარი რისკი, რომელიც გავლენას ახდენს საბჯორჯიას ოპერაციებზე არის სავალუტო და შესასყიდი ნედლეულის და მასალების ფასების ცვლილების რისკი (საბაზრო რისკი). სავალუტო რისკი გამომდინარეობს იქიდან, რომ საბჯორჯიას საბანკო სესხის გარკვეული ნაწილი არის ევროში, ხოლო შემოსავლების მიღება ხდება ლარში.

შპს საბჯორჯია

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შესასყიდი მასალების თუ აღჭურვილობების შეძენა ხდება მნიშვნელოვანწილად იმპორტით, შესაბამისად ანგარიშსწორება არარეზიდენტ კონტრაგენტებთან ხდება ვალუტაში, ასევე აღსანიშნავია როიალტის ხარჯი, რომელზეც ასევე აისახება სავალუტო მერყეობა. გარდა ამისა, ადგილობრივი მომწოდებლების ნაწილი თავის მხრივ დამოკიდებულია იმპორტირებულ საქონელზე და შესაბამისად, ლარის გაუფასურება ახდენს გავლენას ადგილობრივი პროდუქციის შესასყიდ ფასებზეც. კომპანიის მიზანია, მაქსიმალურად გაზარდოს ადგილობრივი წარმოების წილი პროდუქტებში, რათა სავალუტო რისკები იყოს დაზღვეული.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 29 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

გივი გვეტაძე

ფინანსური დირექტორი

არჩილ ჩუბინიძე

შპს საბჟორჯია


მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შესასყიდი მასალების თუ აღჭურვილობების შეძენა ხდება მნიშვნელოვანწილად იმპორტით, შესაბამისად ანგარიშსწორება არარეზიდენტ კონტრაგენტებთან ხდება ვალუტაში, ასევე აღსანიშნავია როიალტის ხარჯი, რომელზეც ასევე აისახება სავალუტო მერყეობა. გარდა ამისა, ადგილობრივი მომწოდებლების ნაწილი თავის მხრივ დამოკიდებულია იმპორტირებულ საქონელზე და შესაბამისად, ლარის გაუფასურება ახდენს გავლენას ადგილობრივი პროდუქციის შესასყიდ ფასებზეც. კომპანიის მიზანია, მაქსიმალურად გაზარდოს ადგილობრივი წარმოების წილი პროდუქტებში, რათა სავალუტო რისკები იყოს დაზღვეული.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 29 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



გიორგი გვეტაძე

ფინანსური დირექტორი



არჩილ ჩუბინიძე